სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება №01.05.04/34

ქ. თბილისი 13 თებერვალი 2019 წ.

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული (მოდულური) საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანის მიერ მოხსენებითი ბარათის წარდგინების, აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის 2019 წლის 5 თებერვლის საბჭოს სხდომის №47 ოქმისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 13 თებერვლის №01-05-02/5 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოდიფიცირებული სახით დამტკიცდეს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამები:
   1.1.„მეფუტკრეობა“ (მესამე საფეხური);
   1.2.„მევენახეობა“ (მესამე საფეხური);
   1.3.„ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ (მესამე საფეხური);
   1.4.„ბუღალტრული აღრიცხვა (მეხუთე საფეხური).

2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის

საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

დადგენილებას თან ერთვის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი (იხ. დანართი).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე